თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. თელავი 2020 წლის 22 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზზსადენი მილის ქსელის შ.პ.ს. ,,თელავგაზისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზზსადენი მილის ქსელის შ.პ.ს. ,,თელავგაზისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ შპს „თელავგაზი" ახდენს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 22620,37 მეტრი სიგრძის გაზსადენი მილების საშუალებით მომხმარებლებისთვის გაზის მიწოდებას, ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერს საჭიროა მივცეთ თანხმობა, რათა განისაზღვროს სარგებლობის საფასური 30 000 ლარის ოდენობით, არის აუდიტის დასკვნა.

ვასილ არაბულმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვა.

ვასილ არაბულის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი - თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზზსადენი მილის ქსელის შ.პ.ს. ,,თელავგაზისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ნაცარაშვილმა და **გიორგი ჩაბრაშვილმა** გამოთქვეს მოსაზრება, რომ აღნიშნულ მიწას იყენებს მოსახლეობა საძოვრად, რის გამოც არ ეთანხმებიან პროექტს.

ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ პრივატიზაციის შედეგად უფრო ეფექტურად მოხდება სახნავის გამოყენება, შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები და დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი